საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

სახელმძღვანელო

2014

საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

სახელმძღვანელო

2014

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოცემულია, საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით.

კონსულტანტი: თამარ თომაშვილი

რედაქტორები: ელენე ხოშტარია, მარიამ ლორთქიფანიძე, თამარ გიორგობიანი, დენოლა ჩხარტიშვილი

დიზაინი: იოსებ ქემაშვილი

© საავტორო უფლებები ეკუთვნის საქართველოს რეფორმების ასოციაციას - GRASS

სახელმძღვანელოში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება აკრძალულია, საქართველოს რეფორმების ასოციაციის თანხმობის გარეშე.

სახელმძღვანელო გამოცემულია საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) - მიერ

© 2014 საქართველოს რეფორმების ასოციაცია - GRASS

www.grassgroup.org

სახელმძღვანელოში ასახული ინფორმაცია ეკუთვნის საქართველოს რეფორმების ასოციაციას და არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს პოზიცია.

ISBN 978-9941-0-7192-8

Government of the Netherlands

GRASS
REFORMANDA

სარჩევი

ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის განხილვის პროცესში მონაწილე მხარეები 6

გამოსაყენებელი დოკუმენტები და მათი მომზადების პრინციპი 7

ანგარიშის განხილვის პროცესი 9

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი 11

დოკუმენტის ოფიციალური მიღება 15

დოკუმენტის იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე 16

სახელმწიფოების მიერ რეკომენდაციების შესრულების პრობლემა 17

საქართველო უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაში 17

გაეროს სპეციალური პროცედურები 18

ადამიანის უფლებათა საბჭოს გასაჩივრების პროცედურა 20

გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები 21

სახელშეკრულებო ორგანოები და მათი მანდატი 23

სახელშეკრულებო ორგანოების სტრუქტურა 24

სახელშეკრულებო ორგანოების ფუნქციები 26

სახელმწიფო ანგარიში და მისი განხილვის პროცედურები 28

არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა სახელშეკრულებო ორგანოებთან 32

ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმები 33

ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების გასაჩივრების მექანიზმი (პეტიციები) 34

ევროპის საბჭო 36

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია (FCNM) 37

სამოქალაქო სექტორის როლი 38

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია (ECRI) 41

ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან 44

ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია 45

მონიტორინგის მექანიზმები 45

როგორ ხორციელდება მონიტორინგი? 46

„ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის კონვენცია“ 47

მონიტორინგის მექანიზმები 48

დანართი № 1 49

დანართი № 2 51

დანართი № 3 55

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო გამოცემულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მხარდაჭერით. სახელმძღვანელოს მიზანია, მოახდინოს არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების შესახებ, მათი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

პუბლიკაციაში დეტალურად არის აღწერილი გაეროს და ევროპის საბჭოს ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების ფუნქციონირების პროცედურები, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ინფორმაციას სამოქალაქო სექტორის მიერ ალტერნატიული ანგარიშების წარდგენისა და ადვოკატირების პროცესის შესახებ.

გაეროს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტები

გაეროს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებია: ადამიანის უფლებათა საბჭო, ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი და სახელშეკრულებო ორგანოები.

ადამიანის უფლებათა საბჭო[1] - ადამიანის უფლებათა საბჭო წარმოადგენს გაეროს მთავრობათაშორის ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა საკითხებზე. საბჭო შეიქმნა 2006 წლის 15 მარტს, გენერალური ასამბლეის 60/251 რეზოლუციის საფუძველზე. ადამიანის უფლებათა საბჭო შედგება 47 წევრი სახელმწიფოსაგან. მისი მანდატი, სხვა ფუნქციებთან ერთად, ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დარღვევებზე მუშაობას და რეკომენდაციების შემუშავებას. საბჭოს მოვალეობაა ადამიანის უფლებების სფეროში გაეროს მუშაობის კოორდინირება. მის პროცედურებსა და მექანიზმებში შედის უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა და გასაჩივრების პროცედურები. ადამიანის უფლებების საბჭო ასევე მუშაობს გაეროს სპეციალურ პროცედურებთან.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (შემდგომში „უპმ“) არის ადამიანის უფლებათა მონიტორინგის მექანიზმი. ის 2006 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის 60/251 რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა. უპმ-ის გამორჩეულ ხასიათში მოიაზრება ის ფაქტი, რომ მისი საშუალებით ხორციელდება ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ფართო მონიტორინგი. ვალდებულებათა შესრულება ყველა ქვეყანას თანაბრად ეკისრება, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა რატიფიცირებული ესა თუ ის ხელშეკრულება. ამჟამად არ არსებობს სხვა მსგავსი მექანიზმი, რომელიც ამგვარ მონიტორინგს განახორციელებდა სახელმწიფოებზე. უპმ მთლიანად თანამშრომლობაზე დაფუძნებული მექანიზმია და ახდენს ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობის შევსებას.

1. http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/Pages/HRCIndex.aspx

უპმ-ის მიზანია:

- ყურადღება გაამახვილოს უთანასწორობის და დისკრიმინაციის საკითხებზე;
- გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა;
- აიძულოს სახელმწიფოები შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები ადამიანის უფლებებთან მიმართებაში;
- ხელი შეუწყოს საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას ქვეყნებს შორის.

ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის განხილვის პროცესში მონაწილე მხარეები

მომხსენებელი სახელმწიფო (SuR) - სახელმწიფო, რომელსაც უწევს ანგარიშის წარდგენა ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ. ანგარიშის წარდგენის თარიღი განისაზღვრება წინასწარ, ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ. ეს (და სხვა სახის) ინფორმაცია თავსდება საჯაროდ, ოფიციალურ ვებ გვერდზე, თითოეულ სახელმწიფოსათვის ინდივიდუალურად[2]. სახელმწიფოთა რიგითობა ეფუძნება უნივერსალურობისა და თანასწორი მოპყრობის პრინციპს. გარდა ამისა, 5/1 რეზოლუციაში გაწერილია რიგითობის კრიტერიუმები:

- ადამიანის უფლებათა საბჭოს ყველა წევრი ქვეყნის გადახედვა უნდა მოხდეს მისი წევრობის პერიოდში
- პირველ რიგში ხორციელდება პირველადი წევრი სახელმწიფოების (ერთი, ან ორი წლით არჩეულთა) გადახედვა.

სამუშაო ჯგუფი - შედგება გაეროს წევრი ქვეყნებისგან და თავმჯდომარისგან (ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდენტი). სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა მიმოხილვის ჩატარება. ჯგუფში სულ 47 წევრია.

„ტროიკა“ - პროცესის გაიოლების მიზნით, შემთხვევითი შერჩევითი პრინციპით დაკომპლექტებული (ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი ქვეყნებისგან) 3 წევრიანი გუნდი. მისი ძირითადი ფუნქციაა მომხსენებე-

2. მაგალითად საქართველოს შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია უპმ-ს სესიებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ: http://www.upr-info.org/en/review/Georgia

ლი სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის განხილვის პროცესის ფასილიტაცია. მომხსენებელ სახელმწიფოს შეუძლია არჩეულ „ტროიკას“ ვეტო დაადოს და მოითხოვოს ერთ-ერთი წევრის იმავე რეგიონიდან არჩევა, საიდანაც თავად მომხსენებელი ქვეყანაა.

ტროიკა სესიის დასასრულს ადგენს წერილობით დოკუმენტს, სადაც თავმოყრილია შეხვედრის დეტალები.

დაინტერესებული მხარე - ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია, ნაციონალური დაწესებულება, გაეროს სპეციალიზირებული სააგენტოები და სხვა. მათი როლი არის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ალტერნატიული ანგარიშის წარდგენისას და ზოგადად, მთლიან პროცესში.

გამოსაყენებელი დოკუმენტები და მათი მომზადების პრინციპი

განხილვის პროცესში გამოიყენება **სამი ძირითადი დოკუმენტი:** მომხსენებელი სახელმწიფოს, ადამიანის უფლებათა საბჭოს და დაინტერესებული მხარის (მაგ.: არასამთავრობო ორგანიზაციის) მიერ შედგენილი დოკუმენტები. ყველა ეს დოკუმენტი ასახავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. თითოეული მიმოხილვის პროცესის დაწყებამდე, აღნიშნული დოკუმენტები მინიმუმ ექვსი თვით ადრე მზადდება და საჯაროდ იტვირთება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სექციაში.

- მომხსენებელი სახელმწიფო წარადგენს მაქსიმუმ 20 გვერდიან ანგარიშს („ეროვნული ანგარიში“).[3] ანგარიშის მომზადების პროცესში რეკომენდებულია, რომ სახელმწიფოებმა აწარმოონ სისტემატიური შეხვედრები სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.
- დოკუმენტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა საბჭო წარადგენს არ უნდა აღემატებოდეს 10 გვერდს და უნდა მოიცავდეს დამოუკიდებელი ექსპერტების, სპეციალური მომხსენებლების, გაეროს სააგენტოების და სხვა აქტორების მიერ მოწოდებულ რელევანტურ ინფორმაციას.
- სხვა დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი ანგარიში (მათ

3. თითუელი ქვეყნის შესახებ დოკუმენტაცია იხილეთ: http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/Documentation.aspx

4. ინდივიდუალური ანგარიშს შემთხვევაში 5 გვერდი, კოალიციის არსებობის შემთხვევაში 10 გვერდი.

შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების).[4] აღნიშნული დოკუმენტი ასევე მაქსიმუმ 10 გვერდს მოიცავს და მასში შედის სანდო, რელევანტური ინფორმაცია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. სწორედ ის ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო მეტად ასახავს რეალურ მდგომარეობას, განსაზღვრავს არასამთავრობოების გადამწყვეტ და უმნიშვნელოვანეს როლს მთლიან პროცესში (დამატებითი ინფორმაციისთვის ქვემოთ იხ. თავი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უპმ-ის ანგარიშის მომზადების შესახებ).

თითოეული დოკუმენტის მომზადებისას უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ საკითხებზე:

- ინფორმაციის მომზადების მეთოდოლოგიის და ეროვნულ დონეზე კონსულტაციების პროცესის მონახაზი;
- ქვეყანაში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული ზოგადი სურათი - რა არის დაცვის ნორმატიული საფუძველი, არსებობს თუ არა ადამიანის უფლებათა ეროვნული ცენტრები, ან ინსტიტუტები;
- როგორ ხორციელდება ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების წახალისება, ხდება თუ არა საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და რამდენად ეფექტურია ეს პროცესი;
- როგორია ადამიანის უფლებათა კუთხით ქვეყანაში აქტივობა, სხვადასხვა მექანიზმებთან თანამშრომლობის დონე;
- რა კეთდება არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად, რა არის მიღწევა ამ სფეროში, როგორია ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკა, რა გამოწვევები არსებობს არსებული მდგომარეობით.

უპმ-ის სტადიები

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა შეიძლება პირობითად შემდეგ სტადიებად დავყოთ:

1. მომხსენებელი სახელმწიფოს მიერ ანგარიშის წარდგენა, განხილვა.

4. ინდივიდუალური ანგარიშს შემთხვევაში 5 გვერდი, კოალიციის არსებობის შემთხვევაში 10 გვერდი.

2. მიღებული რეკომენდაციების იმპლემენტაცია შემდგომ მოხსენებამდე (4.5 წელში);

3. შემდგომი ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენად გაუმჯობესდა ვალდებულებების შესრულების ფონზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ქვეყანაში.

უნივერსალური მიმოხილვის მთლიანი პროცესი მოიცავს 2 ციკლს:

პირველი ციკლი მიმდინარეობდა 2008 – 2011 წლებში, რომლის დროსაც მოხდა რეკომენდაციების მიღება მომხსენებელი სახელმწიფოს მიერ.

უპმ-ის **მეორე ციკლი,** დაიწყო 2012 წელს და დასრულდება 2016 წელს. ამ პერიოდში შემოწმდება რამდენად მოხდა წინა ციკლის დროს მიღებული რეკომენდაციების, იმპლემენტაცია სახელმწიფოს მიერ და რა შედეგი გამოიღო მან.

ძირითადი განსხვავება ამ ორ ციკლს შორის მდგომარეობს შემდეგში: პირველი ციკლისას ხდება სახელმწიფო ანგარიშის წარდგენა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ და რეკომენდაციების მიღება; ხოლო მეორე ციკლისას მიმოხილვის თემაა, თუ როგორ შესრულდა წინა ციკლის დროს მიღებული რეკომენდაციები და რა არის ამჟამინდელი მდგომარეობა ადამიანის უფლებებთან მიმართებით, ასევე რა მიღწევები აქვს სახელმწიფოს და რა სახის სიძნელეები წარმოეშვა ვალდებულებათა შესრულების პროცესში.

ანგარიშის განხილვის პროცესი

სესიებს მასპინძლობს უპმ-ის სამუშაო ჯგუფი, რომელიც წელიწადში 3-ჯერ იკრიბება ჟენევაში. შეკრების პერიოდებია:

- თებერვალი - მარტი;
- აპრილი - მაისი;
- ნოემბერი - დეკემბერი.

თითოეული შეხვედრა 10 დღე გრძელდება. სესიები ატარებს ინტერაქციულ ხასიათს, რომლის განმავლობაშიც ქვეყნებს შეუძლიათ დასვან კითხვები და მისცენ რეკომენდაციები მომხსენებელ სახელმწიფოს.

განხილვის პროცესი სამ საათზე მეტხანს გრძელდება. მომხსენებელ სახელმწიფოს დაახლოებით ერთი საათი ეძლევა იმისათვის, რომ წარადგინოს ეროვნული ანგარიში, უპასუხოს კითხვებს და გააკეთოს დამატებითი კომენტარები. ანგარიშში ასახულია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა (1-ლი ციკლისას), ან სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები რეკომენდაციების გათვალისწინების პროცესში, ასევე თუ რა სიძნელეები წარმოეშვა მოვალეობათა შესრულების პროცესში (მე-2 ციკლისას).

თითოეული მომხსენებელი სახელმწიფო მოწმდება შემდეგ საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებში არსეულ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შემოწმების კუთხით:

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია,
- ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია,
- ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტები, რომელზეც მიერთებულია კონკრეტული სახელმწიფო,
- ქვეყნის ნებაყოფლობითი განცხადებები და დაპირებები, ასევე ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობაზე განაცხადის შეტანისას გაკეთებული განცხადებები,
- შესაბამისი ჰუმანიტარული სამართალი.

მომხსენებელი სახელმწიფოს პრეზენტაციის შემდეგ იწყება დისკუსიის პროცესი, სადაც სხვადასხვა სახელმწიფოები სვამენ კითხვებს და ზეპირ რეკომენდაციებს სთავაზობენ ქვეყანას.

დიალოგის პროცესის დასრულების შემდეგ სამუშაო ჯგუფი აკეთებს მთლიანი პროცესის წერილობით შეჯამებას. შემდგომი 2 სამუშაო დღის განმავლობაში მოსხენება წარედგინება ადამიანის უფლებათა საბჭოს და ხდება მისი „პირველადი მიღება“. ამ დოკუმენტში აისახება ყველა გაჟღერებული რეკომენდაცია და მომხსენებელი სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ რეკომენდაციებთან მიმართებით. სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს, არ მიიღოს ან განუხილველად დატოვოს რეკომენდაციები. ის რეკომენდაციები, რომელთა მიღებაზეც მომხსენებელი სახელმწიფო თანხმობას განაცხადებს, წარმოშობს მათი შესრულების ვალდებულებას მეორე ციკლამდე.

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისას მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა. მათ ეკისრებათ დიდი როლი რეკომენდაციების მიღების და შემდგომი შესრულების პროცესში.

არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ:

1. ჩაერთონ კონსულტაციის პროცესში;
2. გააგზავნონ მოხსენება "ჩრდილოვანი/ალტერნატიული ანგარიში;"
3. ჩაერთონ ლობირების პროცესში;
4. დაესწრონ უპმ-ის სამუშაო ჯგუფის სესიებს;
5. დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიებში;
6. მოუწოდონ სახელმწიფოებს მოახდინონ რეკომენდაციების შემდგომი იმპლემენტაცია.

პროცესში ჩართვა შესაძლებელია სხვადასხვა ეტაპზე. რეკომენდებულია ორგანიზაციებმა თავიდანვე ადევნონ თვალი სახელმწიფოს ანგარიშის მომზადების პროცესს. ანგარიშის წარდგენამდე მინიმუმ ერთი წლით (ან უფრო) ადრე, სახელმწიფოებმა შესაძლოა აწარმოონ შეხვედრები და კონსულტაციები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ინსტიტუტებთან. არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი მოსაზრებების გაცნობა სახელმწიფო წარმომადგენლებისათვის.

საკუთარი წვლილის შეტანის ყველაზე ეფექტური საშუალება არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის არის ალტერნატიული ანგარიშის გაგზავნა, სახელმწიფოს მიერ მომზადებული ეროვნული ანგარიშის პარალელურად.

ალტერნატიული მოხსენება - უმნიშვნელოვანესი მექანიზმია არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, ვინაიდან სწორედ ამ დოკუმენტშია შესაძლებელი ასახულ იქნას ქვეყანაში არსებული რეალური სიტუაცია ადამიანის უფლებებთან მიმართებით. მოხსენება საშუალებას აძლევს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საერთაშორისო დონეზე გაიტანონ აღნიშნული საკითხები და შესაბამისად აიძულონ სახელმწი-

ფო მეტი ყურადღება მიაქციოს პრობლემატურ ასპექტებს. აღსანიშნავია, რომ არცერთი სახელმწიფოს ინტერესში არ შედის მათ მიმართ მოხდეს ნეგატიური კრიტიკა საერთაშორისო დონეზე.

ჩრდილოვანი ანგარიშის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერ ადამიანის ფლებათა სახელშეკრულებო ორგანოში, ისევე როგორ უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაში. ის შეიძლება ეხებოდეს მთლიანად ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, ან იყოს კონკრეტულ საკითხზე ორიენტირებული.

ანგარიშის მომზადება შეუძლიათ კოალიციურ გაერთიანებებს, რაც თავისთავად მეტ ყურადღებას იქცევს განხილვის დროს. მსგავსი ანგარიში შესაძლოა იყოს მაქსიმუმ 10 გვერდიანი - 5630 სიტყვა, ხოლო ინდივიდუალური ანგარიშის წარდგენისას ეს რაოდენობა 5 გვერდამდე მცირდება - ჯამში 2815 სიტყვა, სქოლიოს და დანართების გამოკლებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითოეულ ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ ერთი ინდივიდუალური ანგარიშის წარდგენა, მაგრამ ასევე, ერთდროულად შესაძლებელია რამოდენიმე კოალიციური ანგარიშის ავტორიც იყოს.

ანგარიშის მომზადებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

- ანგარიში უნდა იყოს გამართული და მარტივი ენით დაწერილი, ერთგვაროვანი
  ტერმინოლოგიის გამოყენებით,
- არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს,
- იმისათვის, რომ მოხდეს მარტივად მითითება პარაგრაფებზე, თავები უნდა იყოს დანომრილი,
- განსხვავებული საკითხები უნდა იყოს კატეგორიებად დაყოფილი,
- ანგარიში შესრულებული უნდა იყოს გაეროს ოფიციალური ენებიდან ერთ-ერთზე (ინგლისური, რუსული, არაბული, ფრანგული, ჩინური, ესპანური),[5]
- დანართში არ უნდა იყოს რუკა, სხვა ანგარიში, ან სურათი.

5. http://www.un.org/en/aboutun/languages.shtml;
http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/TechnicalGuide.aspx.

ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის თავსართ ფურცელზე უნდა განთავსდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ორგანიზაციის სახელი,
- ლოგო,
- საკონტაქტო ინფორმაცია,
- ვებ-გვერდი,
- ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი მოკლე ინფორმაცია.

ტექსტი უნდა აიკრიფოს Times New Roman შრიფტით; ზომა-12; ფორმატი A4; დაშორება 1.5.

ელექტრონული ფოსტის გასაგზავნ ტექსტში მიეთითება:

- ორგანიზაციის სახელი,
- ქვეყნის სახელი,
- უპრ-ის სესია,
- სახელმწიფო ანგარიშის წარდგენის თვე.

ანგარიშის წერისას მნიშვნელოვანია სტრუქტურული მოწესრიგება:

- სარჩევი,
- აღწერა,
- შესავალი,
- ძირითადი ნაწილი,
- რეკომენდაციები,
- დასკვნა.

აღწერაში სასურველია დაიწეროს მთავრობის მიმართ მისალმება, მიზეზი თუ რატომ ვწერთ ანგარიშს, პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი, მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა ზოგადად, ძირითადი რეკომენდაციები.

შესავალში უმჯობესია წარმოვადგინოთ მეტი კონკრეტიკა კონტექსტთან დაკავშირებით, ასევე მოვახდინოთ ძირითადი საკითხების ფართო მიმოხილვა.

ძირითად ნაწილში უნდა წარმოჩინდეს სტატისტიკა და მისი მიმოხილვა კონტექსტთან მიმართებაში; ასევე დაინტერესებული მხარის მონათხრობი - ინდივიდუალური შემთხვევები (case study) და მათი ანალიზი.

რეკომენდაციებში მიუთითეთ, პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები და მომავალში გასათვალისწინებელი რჩევები.

დასასრულს, **დასკვნით ნაწილში** უნდა მოხდეს ყოველივე ზემოთხსენებულის მოკლე შეჯამება და ერთიანი აზრის დაფიქსირება.

შედგენილი დოკუმენტი უნდა გაიგზავნოს და აიტვირთოს ადამიანის უფლებათა საბჭოს ვებ-გვერდზე. ამისათვის საჭიროა არასამთავრობო ორგანიზაციებმა წინასწარ გაიარონ ონლაინ რეგისტრაცია.

გაგზავნის დრო არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ შეამოწმონ როდის არის სახელმწიფო ანგარიშის წარდგენის დრო და ასევე როდის შეუძლიათ თავად გააგზავნონ ანგარიში.

ამ ეტაპისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ალეტერნატიული ანგარიშის წარდგენა **2015 წლის 23 მარტამდე.**

იმის გამო რომ შესაძლოა გადაიტვირთოს სერვერი, შემოთავაზებულია შემდეგი მისამართი ინფორმაციის გასაგზავნად:

UPRSUBMISSIONS@OHCHR.ORG.

ლობირების პროცესი სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია. მნიშვნელოვანია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა წინასწარ გამოყონ მთავარი საკითხები და განიხილონ ისინი სახელმწიფოს დელეგატებთან ერთად. ამ მიზნით უმჯობესია წარადგინონ მაქსიმუმ ერთ გვერდიანი დოკუმენტი, რომელშიც იქნება რეკომენდაციე-

6. იხ.დეტალური ინფორმაცია ორგანიზაციებისთვის ონლაინ რეგისტრაციასთან დაკავშირებით https://uprdoc.ohchr.org/Account/Login.aspx?ReturnUrl=%2f

7. http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/NgosNhris.aspx

ბის ჩამონათვალი და მოკლე არგუმენტაცია, თუ რატომ წარმოადგენს ესა თუ ის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სახელმწიფოსთვის, რატომ არის საჭირო მისი განხილვა სესიის დროს და რა შედეგს გამოიღებს მისი შემდგომი იმპლემენტაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ასევე ჩაერთონ კონსულტაციის პროცესში და მომხსენებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებთან ერთად გაიარონ მთავარი საკითხები ჟენევაში, სახელმწიფოს მიერ მიღებული რეკომენდაციების განხილვის დროს. ამ დროს ხდება ინფორმაციის აქტიური გაცვლა, რაც ორივე მხარეს ეხმარება ანგარიშის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებაში, რათა სათანადო ყურადღება გამახვილდეს და მაქსიმალურად შეივსოს არსებული ინფორმაცია.

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ, რომ სახელმწიფომ თარგმნოს მიღებული რეკომენდაციები მშობლიურ ენაზე, რათა ეს ინფორმაცია გახდეს უფრო ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის. გარდა ამისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს თუ რამდენად ხდება რეკომენდაციების ასახვა სახელმწიფოს სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიებში. მიმდინარე პროგრესი ადამიანის უფლებებთან მიმართებით და რეალური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან (რეკომენდაციების შესრულების კუთხით) აისახება ე.წ „ჩრდილოვან ანგარიშებში," რომლებსაც არასამთავრობო ორგანიზაციები აგზავნიან გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებში.

ანგარიშის განხილვის პროცესი პირდაპირი ეთერით გადაიცემა ვებგვერდის საშუალებით.

დოკუმენტის ოფიციალური მიღება

დოკუმენტის მიღების ბოლო ეტაპზე მომხსენებელმა სახელმწიფომ უნდა დააფიქსიროს პოზიცია და 30 წუთში აღნიშნოს თუ რომელი რეკომენდაციების შესრულების ვალდებულებას იღებს შემდეგ ციკლამდე და რამდენად ეთანხმება რეკომენდაციის შინაარსს. შემდეგ იმართება საერთო განხილვა, რომელსაც ეთმობა დაახლოებით ერთი საათი. აღნიშნულ დროში ყველა მონაწილეს შეუძლია გააკეთოს ზოგადი კომენტარები, ან შენიშვნები.

ფორმალურად რეკომენდაციების შემდგომი იმპლემენტაცია სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი როლი, როგორც მონიტორინგის, ისე რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესში.

დოკუმენტის იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე

სახელმწიფოები ვალდებულნი არიან საბოლოო დოკუმენტის მიღების შემდგომ მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები. ყველა ის რეკომენდაცია, რომლის შესრულებაზეც მომხსენებელმა სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა, უნდა აისახოს სახელმწიფო სტრატეგიაში და სამოქმედო გეგმაში, ან მოხდეს შესაბამისი რეაგირება და არსებული სიტუაციის გამოსწორება.

სასურველია მიღებული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია ითარგმნოს და მოხდეს საზოგადოებისთვის მისი მიწოდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან საჭიროა აქტიურობა, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

1. პრეს-კონფერენციის მოწყობა საზოგადოების მეტი ინფორმირების მიზნით;
2. მედია საშუალებებით ინფორმაციის გავრცელება;
3. შეხვედრების მოწყობა დაინტერესებულ მხარეებთან მათი პოზიციის გაცნობის მიზნით;
4. რეკომენდაციის იმპლემენტაციის მონიტორინგის გზების დასახვა;
5. იმპლემენტაციაში უშუალო მონაწილეობის მიღება.

ამ და სხვა საშუალებებით არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის დონის ამაღლებას. შეხვედრებისას წამოჭრილი საკითხების საჯარო განხილვა ხელს უწყობს ინფორმაციის შეგროვებას, სამომავლოდ დახვეწას და პრობლემური მხარეების წარმოჩენას.

სახელმწიფოების მიერ რეკომენდაციების შესრულების პრობლემა

სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ უნივერსალურ პერიოდულ მექანიზმთან და შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები კეთილსინდისიერად.

იმისათვის, რომ ვალდებულებები შესრულდეს უფრო სწრაფად და ეფექტურად, საჭიროა დაცვის მექანიზმს გააჩნდეს იძულებითი ხასიათი. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით მსგავსი მექანიზმი არ არსებობს.

არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფომ უარი განაცხადა ანგარიშის წარდგენაზე (ისრაელი)[8] და მხოლოდ მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების შესრულების შემდგომ მიიღო მონაწილეობა განხილვაში. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს 5/1 რეზოლუციაში[9] მითითებულია, რომ საბჭო უნდა შეეცადოს გამოიყენოს ყველა ის საშუალება, რომელიც უბიძგებს სახელმწიფოს თანამშრომლობისკენ. თუ ეს არ აღმოჩნდება საკმარისი, უნდა განიხილოს პრობლემის გადაჭრის სხვა შესაძლო ვარიანტები.[10]

ყოველივე ეს არ წარმოშობს ეფექტური აღსრულების იძულებით მექანიზმს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა მთლიანად თანამშრომლობაზე დაფუძნებული მექანიზმია.

საქართველო უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვაში

საქართველომ პირველი ანგარიში უპმ-ის სესიაზე 2011 წელს წარადგინა.[11] განხილვის შედეგად საქართველომ მთლიანობაში მიიღო 169 რეკომენდაცია, ხოლო შესრულებაზე თანხმობა 141-ზე განაცხადა.[12] საქართველოს შემდეგი ანგარიშის წარდგენის ვადაა 2015 წლის დეკემბერ-

8. 2013, 17th session.

9. http://ap.ohchr.org/documents/E/HRC/resolutions/A_HRC_RES_5_1.doc -Annex Resolution 5/1, para.38.

10. http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G13/127/14/PDF/G1312714.pdf?OpenElement.

11. http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Documents/uprlist.pdf; http://www.ohchr.org/EN/HRBodies/UPR/Pages/GESession10.aspx>.

12. http://www.upr-info.org/database/index.php?limit=0&f_SUR=63&f_SMR=All&order=&orderDir=ASC&orderP=true&f_Issue=All&searchReco=&resultMax=25&response=&action_type=&session=&SuRRgrp=&SuROrg=&SMRRgrp=&SMROrg=&pledges=RecoOnly.

ში - რიგით 23-ე სესიზე.[13] ისევე როგორც სხვა სახელმწიფოთა შესახებ, უპმ-თან დაკავშირებით საქართველოზე ნებისმიერი სახის ინფორმაცია შესაძლებელია ოფიციალურ ვებ-გვერდზე ვიხილოთ ინგლისურ, ფრანგულ, ან ესპანურ ენებზე.[14] გარდა ამისა, დოკუმენტები ნათარგმნია ქართულ ენაზეც.[15]

გაეროს სპეციალური პროცედურები

გაეროს სპეციალური პროცედურები არის მექანიზმი, რომელიც შეიქმნა სახელმწიფოს და თემატურად ადამიანის უფლებათა მდგომარეობის საკითხთა განსახილველად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, სპეციალური პროცედურების დაყოფა ხდება ორ კატეგორიად:

1. <u>თემატური;</u>
2. <u>ქვეყანაზე ორიენტირებული.</u>

2013 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით არსებობს 37 თემატური და 14 ქვეყნის შესაბამისი მანდატი.

<u>თემატური სპეციალური მომხსენებლები</u> ინიშნებიან 3 წლის ვადით, ვადის გაგრძელება შესაძლებელია კიდევ 3 წლით. მომხსენებლები აწარმოებენ თემატურ კვლევებს, რაც დაინტერესებულ პირთათვის მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო ინსტრუმენტია ადამიანის უფლებათა კუთხით.

<u>ქვეყანაზე ორიენტირებული მომხსენებლის</u> შემთხვევაში 1 წლიანი ვადა შესაძლოა განახლდეს ყოველ მომდევნო წელს. ამ მანდატის მფლობელები აწარმოებენ ვიზიტს კონკრეტული ქვეყნის მასშტაბით, იმისათვის, რომ ადგილზე გამოიკვლიონ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა. ამ მიზნით, ისინი წინასწარ აგზავნიან ოფიციალურ წერილს, რითაც მასპინძელ სახელმწიფოს ატყობინებენ დაგეგმილი ვიზიტის შესახებ.

---

13. http://www.upr-info.org/sites/default/files/general-document/pdf/-upr-fullcyclecalendar_2nd_0.pdf.
14. http://www.upr-info.org/en/review/Georgia.
15. http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=623.
16. სპეციალური უფლებამოსილება, რის ფარგლებშიც სპეციალურ პროცედურებს შეუძლიათ ნაციონალურ დონეზე არსებული სიტუაციის შესწავლა და მონიტორინგი.
17. http://ap.ohchr.org/documents/dpage_e.aspx?si=A/HRC/RES/5/1

ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების ფარგლებში სახელმწიფო დონეზე მუშაობენ დამოუკიდებელი ექსპერტები, სპეციალური მომხსენებელი, ან სამუშაო ჯგუფები.

სპეციალური პროცედურების არჩევა ხდება ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ. შერჩევის კრიტერიუმები განსაზღვრულია საბჭოს 5/1 რეზოლუციით. ამ დოკუმენტის მიხედვით შერჩეული პირი უნდა იყოს კომპეტენტური, ობიექტური და დამოუკიდებელი, რათა მანდატის პერიოდში იმოქმედოს კეთილსინდისიერად. დამოუკიდებლობის ასპექტს ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ არც-ერთი სპეციალური პროცედურის წარმომადგენელი არ სარგებლობს გაეროს თანამშრომლის სტატუსით და, შესაბამისად, არც ფინანსურ სარგებელს იღებს.

სამუშაო ჯგუფი კომპლექტდება მსოფლიოს 5 რეგიონული ჯგუფის (აფრიკა, აზია, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზი, აღმოსავლეთ და დასავლეთი ევროპა) წარმომადგენლებისგან.

სპეციალური პროცედურების ქვეყანაში ჩასვლის მიზანია ადამიანის უფლებათა მდგომარეობის ადგილზე შესწავლა და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რეკომენდაციების გაკეთება. ვიზიტის ფარგლებში ფასდება როგორც ზოგადად ადამიანის უფლებების, ისე სპეციალური ინსტიტუციური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული მდგომარეობა. ამ მიზნით იმართება შეხვედრები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დაზარალებულებთან, გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. საქმიანობის ფარგლებში სპეციალური მომხსენებელი მუშაობს ადამიანის უფლებების დარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევებზე, ატარებს თემატურ ანალიზს და ხელს უწყობს სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას, გასწევს შესაბამისი თემატიკის კონსულტაციებს.

ვიზიტის ბოლოს, საქმიანობის შეჯამების მიზნით, მზადდება მოხსენება, რომელშიც ასახულია რეკომენდაციები და კვლევის შედეგები. ანგარიშის წარდგენა ხდება ადამიანის უფლებათა საბჭოს წინაშე, სადაც ასევე ხაზი ესმევა მასპინძელი სახელმწიფოს მხრიდან თანამშრომლობის საკითხს.

საქართველოში განხორციელებული ვიზიტების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი 1.

ადამიანის უფლებათა საბჭოს გასაჩივრების პროცედურა

2007 წლის 18 ივნისს ადამიანის უფლებათა საბჭომ 5/1 რეზოლუციით შექმნა მიუკერძოებელი, ობიექტური და ეფექტური საჩივრის პროცედურა. მისი მიზანია მიიღოს ინფორმაცია ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

გასაჩივრების პროცედურის გამოყენების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ან პირთა ჯგუფს, ვინც თავს თვლის ადამიანის უფლებების დარღვევის მსხვერპლად, ან აქვს ასეთი დარღვევის შესახებ სანდო ინფორმაცია. პროცესი გასაჩივრების უნივერსალური მექანიზმია, რადგან მოიცავს ყველა ქვეყანაში ადამიანის ყველა უფლებას.

ინდივიდუალური საჩივრის განხილვაზე და შემდგომ ინფორმაციის ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის მიწოდებაზე პასუხისმგებელია ორი ჯგუფი: კომუნიკაციების და სიტუაციათა ჯგუფი.

- **კომუნიკაციების ჯგუფი** ადამიანის უფლებათა საბჭოს მრჩეველთა კომიტეტის მიერ დანიშნული ჯგუფია, რომელსაც გააჩნია 3 წლიანი მანდატი. ჯგუფი შედგება 5 დამოუკიდებელი ექსპერტისგან (5 რეგიონული ჯგუფიდან), იკრიბება წელიწადში ორჯერ 5 დღით კომუნიკაციის დაშვების შესამოწმებლად - ანუ არის თუ არა დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევა და აკმაყოფილებს თუ არა ის რეზოლუციით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს[18]. კომუნიკაციების ჯგუფი ამ პირობათა დაკმაყოფილების შესახებ ინფორმაციას აგზავნის შესაბამის სახელმწიფოში, შემდგომ კი სიტუაციების ჯგუფში.
- **სიტუაციების ჯგუფი** შედგება რეგიონული ჯგუფების მიერ დანიშნული ხუთი წევრისგან. ეს ჯგუფი იკრიბება წელიწადში ორჯერ ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, რათა შეამოწმოს კომუნიკაციების ჯგუფის მიერ გადმოცემული ინფორმაცია. სიტუაციების ჯგუფი ასევე ამოწმებს არის თუ არა საქმეზე შესაბამისი სახელმწიფოს მხრიდან გამოხმაურება. ამ გამოკვლევის შემდგომ, ჯგუფი საქმეს გადასცემს ადამიანის უფლებათა საბჭოს განსახილველად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სტადიის შესახებ ინფორმაცია ეგზავნება როგორც გასაჩივრების პროცედურების ავტორს, ასევე შესაბამის სახელმწიფოს.

18. იხ დანართი №1.

გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები

1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (UDHR) წარმოადგენს პირველ სისტემატიზირებულ დოკუმენტს, რომელშიც ასახულია გაეროს წესდებით გათვალისწინებული „ადამიანის უფლებების“ იდეა. დეკლარაციამ გააერთიანა სხვადასხვა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რომლებიც შემდგომში გადანაწილდა ორ ხელშეკრულებაში - საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR) და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (ICESCR). უნივერსალური დეკლარაცია და ორი პაქტი ერთად აყალიბებს ადამიანის უფლებათა დაცვის მინიმალურ სტანდარტს, რომელიც ცნობილია, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტი. შემდგომში მიღებული კონვენციები უფრო კონკრეტულ თემატურ პრობლემებს პასუხობს (როგორიცაა რასობრივი დისკრიმინაცია, ან მოწყვლადი ჯგუფების (ქალები, ბავშვები, მიგრანტი მუშაკები, შშმ პირები და ა.შ.) დაცვა.) ეს კონვენციები ძირითადად უფლებათა საერთაშორისო ბილის, კონკრეტული უფლებების გაფართოებას და დეტალურ აღწერას ემსახურება (იხ. ქვემოთ კონკრეტული ჩამონათვალი ხელშეკრულებების შესახებ).

ხელშეკრულება, კონვენცია, ან პაქტი საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. ხელშეკრულებას სავალდებულო ძალა აქვს ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ. სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ხელშეკრულების მხარე მასზე ხელმოწერისა და რატიფიკაციის გზით, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ სახელმწიფო ნებაყოფლობით იბოჭება შესაბამისი ხელშეკრულების მუხლებით. როდესაც სახელმწიფო ხდება ხელშეკრულების მხარე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ის იღებს ვალდებულებას, მიიღოს და აღასრულოს ამ ხელშეკრულების ნორმები. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ ხელმომწერი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ხელშეკრულების ნორმებთან და მოხდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გატარება ეროვნულ დონეზე.

ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს უფლება აქვს რატიფიცირებული ხელშეკრულების რომელიმე კონკრეტულ მუხლზე გააკეთოს დათქმა. თუ ამ მუხლზე დათქმა დასაშვებია, სახელმწიფო არ არის ვალდებული შეას-

რულოს ამ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული ვალდებულებები. დათქმა დაუშვებელია, თუ ის ეწინააღმდეგება მთლიანი ხელშეკრულების სულისკვეთებას.

ადამიანის უფლებათა ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედება გაფართოვდა ფაკულტატური ოქმის შექმნით. ოქმმა შეიძლება გაზარდოს კონკრეტული სფეროს დაცვის ფარგლები, ან შემოიღოს დამატებითი პროცედურები, რომელიც მონიტორინგის გაძლიერების, ან ინდივიდუალური კომუნიკაციის/საჩივრის მიღების საშუალებას იძლევა (იხ. თავი ინდივიდუალური განაცხადის/საჩივრის შესახებ).

ადამიანის უფლებათა მთავარი საერთაშორისო ხელშეკრულებები ხშირად მოიხსენიება, როგორც „ძირითადი“ ხელშეკრულებები, რადგან ისინი გადმოსცემენ საყოველთაო დეკლარაციის სულისკვეთებას. ადამიანის უფლებათა სფეროში რვა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულება მოისაზრება:

- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (ICCPR),
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR),
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD),
- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW),
- კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური, ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ (CAT),
- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (CRC),
- საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტი მუშისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ (ICRMW),
- კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ (CRPD).

საქართველო არის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კონვენციის წევრი, გარდა მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ კონვენციისა.

სახელშეკრულებო ორგანოები და მათი მანდატი

სახელშეკრულებო ორგანოები შეიქმნა, რათა გაეწია მონიტორინგი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე. სახლეშეკრულებო ორგანოები შექმნილია ხელშეკრულების საფუძველზე და უშუალოდ დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან. ეს ორგანოები წარმოადგენს დამოუკიდებელი ექსპერტების კომიტეტებს, რომლებიც აკვირდებიან სახელმწიფოს მიერ რვა ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებითა და მათი ფაკულტატური ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. თითოეული ხელშეკრულების შესრულება კონტროლდება შესაბამისი კომიტეტის მიერ, სახელმწიფოს ანგარიშის და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და სხვა რელევანტური წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ ეტაპზე არსებობს ცხრა კომიტეტი:

ხელშეკრულება	შესაბამისი ორგანო:
ICERD	რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD)
ICCPR	ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC)
ICESCR	ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (CESCR)
CEDAW	ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW)
CAT	კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT)
OP-CAT	წამების პრევენციის ქვეკომიტეტი (SPT)[19]
CRC	ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC)
ICRMW	მიგრანტი მუშების დაცვის კომიტეტი (CMW)
CRPD	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (CRPD)

19. წამების პრევენციის ქვეკომიტეტი დაფუძნდა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ფაკულტატური ოქმის საფუძველზე და წარმოადგენს განცალკევებულ ორგანოს. SPT უფლებამოსილია ეწვიოს ფაკულტატური ოქმის ხელმომწერ სახელმწიფოებს და შეადგინოს კონფიდენციალური ანგარიშები, რომლებიც ასევე შეიცავს რეკომენდაციებს ამ სახელმწიფოების მიმართ. ასევე SPT-ს აქვს მანდატი დახმარება გაუწიოს სახელმწიფოებს ეროვნული პრევენციული მექანიზმის შემუშავებაში და მის ეფექტურ ფუნქციონირებაში.

სახელშეკრულებო ორგანოების სტრუქტურა

სახელშეკრულებო ორგანოების წევრები არიან დამოუკიდებელი ექ-სპე-რტები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი კომპეტენციით ადა-მიანის უფლებათა სფეროში, მაღალი მორალური სტანდარტით და მიუ-კერძოებლობით. სახელშეკრულებო ორგანოები მოქმედებენ როგორც ავტონომიური საექსპერტო ორგანოები და არა როგორც პოლიტიკური ან მთავრობათშორისი ორგანოები, როგორიც არის გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, ან გაეროს უშიშროების საბჭო. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებულია სპეციალური მექანიზმები, მაგალითად, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წევრები არ შეიძლება გათა-ვისუფლდნენ მათი თანხმობის გარეშე.

წევრების შერჩევისას მხედველობაში მიიღება რეგიონული დანაწილების პრინციპი და თანაბარი წარმომადგენლობა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებიდან თუ კულტურებიდან. თუმცა, CESCR არის ერთადერთი სა-ხელშეკრულებო ორგანო, რომელსაც აქვს ოფიციალურად დადგენილი გეოგრაფიული კვოტა.

თითოეული ორგანოს წევრთა რაოდენობა მერყეობს 10-დან 23-მდე. სახელშეკრულებო ორგანოს წევრები ირჩევნიან შესაბამისი ხელშეკრუ-ლების ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ ფიქსირებული, ან განახლე-ბადი ვადით, თითოეული 4 წლით. კომიტეტის წევრების ნახევარის არჩევა ხდება ყოველ ორ წელიწადში.

სახელშეკ- რულებო ორგანო	სტრუქ- ტურა	სესიების რაოდენობა და ხანგრძლივობა	სესიები	
			პერიოდი	ადგილმდე- ბარეობა
CERD	18	2 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა-3 კვირა	თებერვალი და აგვისტო	ჟენევა
HRC	18	3 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა-3 კვირა	მარტი, ივლისი და ოქტომბერი	ნიუ-იორკი, ჟენევა, ჟენევა
CESCR	18	2 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა-3 კვირა	მაისი და ნოემბერი	ჟენევა
CEDAW	23	3 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა-3 კვირა	იანვარი, ივლისი და ოქტომბერი	ჟენევა, ნიუ-იორკი, ჟენევა
CAT	10	2 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა-3 კვირა	მაისი და ნოემბერი	ჟენევა
SPT	10	3 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა- 1კვირა	თებერვალი, ივნისი და ნოემბერი	ჟენევა
CRC	18	3 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა- 3 კვირა	იანვარი, მაისი და სექტემბერი	ჟენევა
CMW	10	დაახლოებით 2 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა- 1 კვირა	აპრილი და ნოემბერი/ დეკემბერი	ჟენევა

CRPD	12	2 სესია წელიწადში, თითოეულის ხანგრძლივობა- 1 კვირა	თებერვალი და ოქტომბერი	ჟენევა

სახელშეკრულებო ორგანოების ფუნქციები

სახელშეკრულებო ორგანოებს თავისი ფუნქციების - მონიტორინგისა და აღსრულების უზრუნველყოფის - შესრულების ფარგლებში აქვთ გარკვეული მანდატი; კერძოდ, ყველა სახელშეკრულებო ორგანო (გარდა SPT-სა):

- იღებს და განიხილავს სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ ანგარიშს;
- გამოსცემს დასკვნით რეკომენდაციებს, რათა დაეხმაროს მხარეებს თავისი ვალდებულებების შესრულებაში;
- აყალიბებს ზოგად კომენტარებს, რომლებიც განმარტავს ხელშეკრულების მუხლს, როგორც შინაარსობრივად, ისე პროცედურულად.

ზოგიერთ სახელშეკრულებო ორგანოს აქვს მანდატი შეასრულოს დამატებითი ფუნქციები, როგორიცაა:

- განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები;
- განიხილოს მთავრობათშორისი საჩივრები;
- წამოიწყოს, ან ჩაატაროს მოკვლევა;
- ჩაატაროს გამოძიება ქვეყანაში ვიზიტის ფარგლებში.

კომიტეტის საქმიანობა და ფუნქციები	კომიტეტები								არასამთავრობო ორგანიზაციების წვლილი
	CERD	CESCR	HRC	CEDAW	CAT	CRC	CMW	CRPD	
სახელმწიფო ანგარიშის განხილვა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	სახელმწიფო ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობა; ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადება
შემაჯამებელი დასკნები									არ მონაწილეობენ პროცესში
ინდივიდუალური სარჩელების განხილვა	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓	მსხვერპლის დახმარება სარჩელის შეტანაში; მსხვერპლის სახელით სარჩელის შეტანა
მთავრობათშორისი სარჩელების განხილვა	✓		✓	✓	✓				არ მონაწილეობენ პროცესში
ზოგადი კომენტარები და რეკომენდაციები	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	განხილვის პერიოდში რელევანტური საკითხების წამოჭრა; ჩამოყალიბების პროცესში კომენრარებისა და ინფორმაციის მიწოდება
გამოძიება/ მოკვლევა ქვეყანაში ვიზიტით				✓	✓			✓	რელევანტური ინფორმაციის მიწოდება

პროცედურა	✓	✓	✓	✓	✓				იმპლემენტა-ციასა და პროგრესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; სახელმწიფოს მხარდაჭერა რეკომენდა-ციების შესრულებაში

სახელმწიფო ანგარიში და მისი განხილვის პროცედურები

ანგარიშის განხილვა შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- ➢ ეროვნულ დონეზე სახელმწიფო ანგარიშის მომზადება;
- ➢ კომიტეტის მიერ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ანგარიშის შესწავლის მიზნით;
- ➢ საჯარო შეხვედრაზე ანგარიშის განხილვა სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და კომიტეტის ექსპერტებს შორის კონსტრუქციული დიალოგის გზით;
- ➢ შემაჯამებელი დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოცემა;
- ➢ მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულებაზე.

როდესაც ქვეყანა ხდება რომელიმე საერთაშორისო ხელშეკრულების წევრი, ის იღებს ვალდებულებას წარადგინოს მუდმივად, მაგრამ არანაკლებ, თუ არაუმეტეს 4 წელიწდში ერთხელ საწყისი და პერიოდული ანგარიშები. პერიოდული ანგარიში მხარემ უნდა წარადგინოს დროის გარკვეულ მონაკვეთში, როგორც გათვალისწინებულია შესაბამისი ხელშეკრულებით. ანგარიშის წარდგენის მთავარი მიზანია, რომ კომიტეტს მიეცეს საშუალება, შეისწავლოს სახელმწიფოს მიერ მისი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა. ანგარიში უნდა მომზადდეს საზოგადოების ფართო ჩართულობით, რათა ეს პროცესი გახდეს მაქსიმალურად ყოვლისმომცველი და ინკლუზიური. ანგარიში უნდა მოიცავდეს სახელმწიფოს მცდელობებს, როგორც საკანონმდებლო, ისე პოლიტიკის დონეზე, შეასრულოს მისი

ვალდებულებები ადამიანის უფლებების მიმართულებით. ანგარიშმა უნდა აჩვენოს ის პროგრესი, რაც არსებობს ამ მიმართულებით, ასევე ის სიძნელეები, რაც სახელმწიფოს შეხვდა ვალდებულებების შესრულებისას. ანგარიშში ასევე გამოხატული უნდა იყოს სახელმწიფოს განზრახვა გააუმჯობესოს ვალდებულებების შესრულების ხარისხი. ანგარიშის სტრუქტურა ყველა კომიტეტისათვის დაახლოებით მსგავსია:

- ✓ რელევანტურ ხელშეკრულებაზე მუხლობრივად ანგარიშის წარდგენა;
- ✓ ურთიერთდაკავშირებულ მუხლებზე ანგარიშის წარდგენა;
- ✓ კომიტეტის მიერ წარდგენილ კითხვებზე ანგარიშის წარდგენა;
- ✓ კონკრეტულ მუხლებზე დეტალურ კითხვებზე ანგარიშის წარდგენა;
- ✓ იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სახელმწიფოს მნიშვნელოვნად მიაჩნია.

<u>საერთო ძირითადი დოკუმენტი.</u> სახელმწიფოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია, როგორიც არის ძირითადი ფაქტები, პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემა და სხვა რელევანტური ინფორმაცია (აუცილებელია თითოეული კომიტეტისათვის წარდგენილ ანგარიშში). სახელმწიფოსთვის ანგარიშგების ტვირთის შემსუბუქების და სახელმწიფო ანგარიშების შემოკლების მიზნით, სახელშეკრულებო ორგანოებმა დაუშვეს, რომ სახელმწიფოებს წარედგინათ ერთი დოკუმენტი, რომელიც საერთოა ყველა კომიტეტისთვის, რამდენადაც თითოეული ორგანოსთვის რელევანტურ ინფორმაციას მოიცავს და წარმოადგენს სახელმწიფო ანგარიშის პირველ ნაწილს.

საერთო ძირითადი დოკუმენტი მოიცავს ზოგად ინფორმაციას ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამყარებულია ფაქტებით, სტატისტიკით და ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული ზოგადი ჩარჩოთი. ეს დოკუმენტი თან ერთვის კონკრეტული კომიტეტისათვის მომზადებულ სპეციალურ ანგარიშს. თუმცა, კომიტეტი არ არის დაინტერესებული მხოლოდ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია რეალურად არსებული მდგომარეობა. სწორედ ამას ემსახურება კომიტეტის მიერ ალტერნატიული ინფორმაციის შეგროვება (იხილეთ თავი ალტერნატიული ანგარიშების შესახებ).

ანგარიშების წარდგენის შემდეგ კომიტეტი აჯერებს სახელმწიფოსგან და ალტერნატიული წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას. შემდეგ ეტაპზე კომიტეტი უსმენს სახელმწიფოს წარმომადგენელ დელეგაციას და მართავს მასთან დიალოგს. ქვეყნის წარმომადგენლები პასუხობენ კომიტეტის ექსპერტების კითხვებს. სახელმწიფოს წარმომადგენლები ასევე კომენტარს აკეთებენ არასამთავრობო სექტორის მიერ ალტერნატიული ანგარიშების მეშვეობით მიწოდებულ საკითებზე. ამის შემდეგ კომიტეტს გამოაქვს შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები, რომლებიც დახურულ სხდომაზე ყალიბდება. შემაჯამებელი რეკომენდაციები სახელმწიფოსათვის წარმოადგენს გარკვეულ სახელმძღვანელოს, თუ როგორ უნდა განაგრძოს შემდგომში ვალდებულებების შესრულება, თუმცა, თავად რეკომენდაციები არ არის სამართლებრივად სავალდებულო. რეკომენდაციები შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ✓ სახელმწიფოს მიერ აქამდე გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების შეფასება და აღიარება;
- ✓ პრობლემატური სფეროების იდენტიფიცირება და სახელმწიფოსათვის მითითება ამ სფეროებში არსებული ვალდებულებების შესრულებაზე;
- ✓ პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც შესაძლოა სახელმწიფომ გადადგას ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

შემაჯამებელი რეკომენდაციების გამოქვეყნება ნიშნავს ანგარიშის პერიოდული განხილვის პროცედურის დასასრულს. რეკომენდაციები, როგორც წესი, საჯარო ხდება სესიის დასრულების შემდეგ.

ხელშეკ- რულება	სახელმწიფო ანგარიშის პერიოდულობა	
	წარდგენის ვადა რატიფიცირებიდან	პერიოდული ანგარიშები
ICERD	1 წელი	ყოველ 2 წლიწადში (პრაქტიკაში ყოველ 4 წელიწადში, როგორც 2 კომბინირებული ანგარიში)
ICESCR	2 წელი	ყოველ 5 წელიწადში
ICCPR	1 წელი	ძირითადად ყოველ 4 წელიწადში
CEDAW	1 წელი	ყოველ 4 წელიწადში, ან CEDAW-ს მოთხვონის მიხედვით
CAT	1 წელი	ყოველ 4 წელიწადში
CRC	2 წელი	ყოველ 5 წელიწადში
CMW	1 წელი	ყოველ 5 წელიწადში, ან CMW-ის მოთხოვნის მიხედვით
CRC - OPSC	2 წელი	ყოველ 5 წელიწადში
CRC - OPAC	2 წელი	ყოველ 5 წელიწადში
CRPD	2 წელი	ყოველ 4 წელიწადში

არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა სახელშეკრულებო ორგანოებთან

სახელშეკრულებო ორგანოების საქმიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ძირითადად ადამიანის უფლებების კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ითანამშრომლონ სახელშეკრულებო ორგანოებთან და ამისთვის არ სჭირდებათ სპეციალური აკრედიტაცია.

თანამშრომლობის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა შეინარჩუნონ კონსტრუქციული მონაწილის როლი და ეცადონ ობიექტურად აღწერონ არსებული რეალობა. ფორმალური მექანიზმებით არასამთავრობო ორგანიზაზიებს შეუძლიათ მუშაობის თითქმის ყველა ეტაპზე მიიღონ მონაწილეობა:

1. ეროვნული ანგარიშის მომზადება

არასამთავრობო ორგანიზაციები შეიძლება მიიწვიონ კონსულტაციებზე, რომელიც სახელმწიფოს ანგარიშის მომზადების ფარგლებში იმართება. თუ სახელმწიფო მომართულია პროცესის გახსნილობაზე და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ ღირებული ინფორმაციის მიწოდება და სასარგებლო რეკომენდაციების გაწევა. სამწუხაროდ, ყველა სახელმწიფო არ არის დაინტერესებული პროცესის ინკლუზიურობით, თუმცა სახელშეკრულებო ორგანოები თავის რეკომენდაციებში ყოველთვის მოუწოდებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს პროცესში ჩართვისაკენ.

2. არასამთავრობო ორგანიზაციების ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშები

მიუხედავად იმისა არიან თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები სახელმწიფო ანგარიშის მომზადებაში ჩართული, მათ შეუძლიათ სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხარისხის და ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ წარადგინონ საკუთარი ანგარიში, რომელიც მათ მიერ შეგროვებულ ინფორმაციას და ჩატარებულ კვლევას ემყარება. არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიძლება წარადგინონ ანგარიში კონკრეტულ თემაზე მათი სპეციალიზაციის მიხედვით ინდივიდუალურად, თუმცა მათ ასევე შეუძლიათ წარადგინონ

კოალიციური ანგარიშები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ერთად მიაწოდოს ინფორმაცია კომიტეტს, ისე რომ თითოეული მათგანი ფოკუსირდეს მისი ინტერესის სფეროზე.

3. სესიაზე დასწრება

არასამთავრობო ორგანიზაციებს პლენარულ სესიაზე დასწრება შეუძლიათ ძირითადად როგორც დამკვირვებლებს. სესიაზე დასწრების მსურველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ აკრედიტაცია რელევანტური კომიტეტის სამდივნოსგან. ორგანიზაციები მონაწილეობას ვერ მიიღებენ სახელმწიფოს წარმომადგენლებსა და კომიტეტს შორის უშუალო დიალოგში.

ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმები

გაეროს მექანიზმებთან დაინტერესებულ პირებს თანამშრომლობა შეუძლიათ ინდივიდუალური, უშუალო კომუნიკაციის გზითაც, რაც ადამიანის უფლებათა ორგანოებისთვის ინფორმაციის პირდაპირი გზით მიწოდების საკმაოდ ეფექტურ და ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენს. ინდივიდუალურ კომუნიკაციაში ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა გასაჩივრების მექანიზმები იგულისხმება. უფლების დარღვევისას ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სამიდან ერთ-ერთ მექანიზმს:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებები (პეტიციები). ეს მექანიზმი გამოიყენება, როცა საჩივარი ეხება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებების დარღვევას;
- ინდივიდუალური კომუნიკაცია ადამიანის უფლებათა საბჭოს სპეციალური პროცედურების მექანიზმებთან (ინდივიდუალური კომუნიკაციები თემატური და გეოგრაფიული მანდატის შესაბამისად ფუნქციონირებს);
- ადამიანის უფლებათა საბჭოს გასაჩივრების პროცედურა საბჭოს გასაჩივრების პროცედურა არ არის შეზღუდული გეოგრაფიული თუ თემატური წინაპირობით, საბჭო უფლებამოსილია განიხილოს ადამიანის უფლების ნებისმიერი ტიპის სერიოზული და მნიშვნელოვანი დარღვევა.

გასაჩივრების მექანიზმის შერჩევა დამოკიდებულია იმ წინაპირობებზე, რომელიც თითოეულ შემთხვევაში საჩივრის მიღებასთან არის დაკავშირებული და ასევე იმ მიზანზე, რისი მიღწევაც სურს გამსაჩივრებელს.

ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების გასაჩივრების მექანიზმი (პეტიციები)

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახელშეკრულებო ორგანოს არ გააჩნია გასაჩივრების მექანიზმი. სხვადასხვა პირობით 7 სახელშეკრულებო ორგანო იღებს ინდივიდუალურ საჩივრებს:

- ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC),
- რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD),
- ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (CESCR),
- ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW),
- კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT),
- იძულებით გაუჩინარებისგან ყველა პირის დაცვის საერთაშორისო კომიტეტი (CED),
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (CRPD).

სახელშეკრულებო ორგანოში სარჩელის წარდგენის საფუძველია ხელშეკრულებაზე ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო რელევანტური ხელშეკრულებით და მისი, რომელიმე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა.

გარდა ამისა, სხვადასხვა ორგანოში არსებობს საჩივრის წარდგენის წინაპირობები. გამსაჩივრებელმა პირველ რიგში უნდა გადაამოწმოს აქვს თუ არა იმ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც შეაქვს საჩივარი რატიფიცირებული ან აღიარებული გასაჩივრების პროცედურის შემცველი ფაკულტატური ოქმი, ან ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც გასაჩივრების შესაძლებლობას გულისხმობს. გასაჩივრების პროცედურა სახელმწიფოს მიღებული შეიძლება ჰქონდეს:

- ✓ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური ოქმის შესაბამისად;
- ✓ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად;
- ✓ რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად (აღნიშნული კონვენცია ასევე იძლევა ინდივიდთა ჯგუფის მხრიდან კომუნიკაციის შესაძლებლობას);
- ✓ ყველა მიგრანტი მუშის და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციის 77-ე მუხლის შესაბამისად (აღნიშნული დებულება ამოქმედდება 10 სახელმწიფოს მიერ მისი აღიარების შემდეგ);
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საერთაშორისო კონვენციის ფაკულტატური ოქმის შესაბამისად;
- ✓ წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის 22-ე მუხლის შესაბამისად;
- ✓ იძულებითი გაუჩინარებისაგან ყველა პირის დაცვის საერთაშორისო კონვენციის 31-ე მუხლის შესაბამისად.

სახელშეკრულებო ორგანოებისათვის საჩივრის წარდგენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი მექანიზმების ამოწურვა. საჩივარი შეიძლება წარადგინონ მესამე პირებმაც, თუმცა, ამისათვის მათ სჭირდებათ უფლების დარღვევის ადრესატის წერილობითი თანხმობა. კომიტეტი გადაწყვეტილებას, როგორც წესი, იღებს 2-3 წლის განმავლობაში, თუმცა, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება მიიღონ შუალედური ზომები, ანუ კონკრეტული ქმედებების შესრულება, ან მათგან თავის შეკავება დაავალონ სახელმწიფოს.

სახელშეკრულებო ორგანოები პროცედურის გამარტივების მიზნით შეიმუშავებენ საჩივრის ფორმას.

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო დაარსდა 1945 წლის 5 მაისს ათი სახელმწიფოს მიერ (ბელგია, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო). ამჟამად ევროსაბჭოს წევრია 47 სახელმწიფო, საქართველოს ჩათვლით (საქართველო წევრია 1999 წლის 27 აპრილიდან). დღეს ევროპის საბჭო არის ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. მისი ძირითადი ამოცანაა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვა წევრ სახელმწიფოებში.[20] ევროსაბჭო მონიტორინგს უწევს წევრი ქვეყნების პროგრესს ადამიანის უფლებათა სფეროში და იღებს შესაბამის რეკომენდაციებს.[21] ევროსაბჭოში არსებობს 2 კატეგორიის კომიტეტები: ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი და სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ შექმნილი კომიტეტები.

ევროპის საბჭოს ინსტიტუტები

- გენერალური სამდივნო - საპარლამენტო ასამბლეის მიერ 5 წლის ვადით არჩეული. ამჟამად გენერალური მდივანია ნორვეგიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, თორბორნ იაგლანდი;[22]
- მინისტრთა კომიტეტი - 47 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისგან შემდგარი კომიტეტი;
- საპარლამენტო ასამბლეა - შედგება წევრი სახელმწიფოების პარლამენტარებისგან, რომლებიც ირჩევენ პრეზიდენტს ერთი წლის ვადით. (იგივე კანდიდატის არჩევა მეორედ არის შესაძლებელი);
- კონგრესი - 1994 წლიდან ჩამოყალიბდა და შედგება პოლიტიკური წარმომადგენლებისგან ყველა წევრი სახელმწიფოდან;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო - განიხილავს კერძო ინდივიდების საჩივრებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის წევრი სახელმწიფოების მიმართ;
- ადამიანის უფლებათა კომისარი - აირჩევა საპარლამენტო ასამბლეის მიერ, 6 წლის ვადით (2012 წლის აპრილიდან ამ პოზიციას იკავებს ნილს მუიჟნიკსი ლატვიიდან);
- საინფორმაციო ოფისები - მრავალ წევრ სახელმწიფოში არსებობს, მათ შორის საქართველოში.

20. http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/001.htm.
21. http://www.coe.int/en/web/about-us/who-we-are.
22. http://www.coe.int/en/web/secretary-general/home.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია (FCNM)

კონვენცია აწესებს და ეხება ზოგადად ეროვნულ უმცირესობებათა დაცვის საკითხებს. მისი მიზანია დაიცვას კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების უფლებები, ასევე ხელი შეუწყოს მათთვის თანასწორი პირობების შექმნასა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

კონვენცია 1994 წელს მიიღეს, ხელმოსაწერად 1995 წელს გაიხსნა, ძალაში შევიდა 1998 წელს. 2010 წლის მონაცემებით 39 სახელმწიფოს აქვს რატიფიცირებული.

კომიტეტის მიზანია შეამოწმოს წევრ სახელმწიფოებში არსებული სიტუაცია ეროვნული უმცირესობების უფლებათა მდგომარეობის მხრივ. კომიტეტი არის ვალდებული წარმოადგინოს დეტალური ანალიზი უმცირესობათა მიმართ არსებული კანონმდებლობის შესახებ.

<u>მრჩეველთა კომიტეტი</u> შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტი. ისინი აყალიბებენ მოსაზრებებს სახელმწიფოების მიმართ. ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობს მინისტრთა კომიტეტი რეზოლუციის მომზადებისას.

<u>მინისტრთა კომიტეტი</u> ჩართულია მონიტორინგის პროცესში და იღებს სახელმწიფოს შესახებ რეზოლუციებს.

<u>ჩარჩო კონვენციის შესრულების მონიტორინგი</u> მონიტორინგს ახორციელებს მრჩეველთა კომიტეტი, რომელიც იღებს ქვეყნის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს. კომიტეტი გამოსცემს დასკვნებს და რეკომენდაციებს მინისტრთა კომიტეტისათვის.

მონიტორინგის ციკლი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება შემდეგი <u>ეტაპების გათვალისწინებით:</u>

1. <u>სახელმწიფოს მხრიდან ანგარიშის დადასტურება/გაგზავნა:</u> სახელმწიფო ანგარიში არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მოხსენებას ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით. ის წარმოადგენს მრჩეველთა კომიტეტისთვის ერთ-ერთ სახელმძღვანელო დოკუმენტს. სახელმწიფო წარმომადგენლები, რომლებიც ადგენენ ანგარიშს, ვალდებულნი არიან მაქსიმალურად ჩართონ უმცირესობები დოკუმენტის შედგენის პროცესში.

2. კომიტეტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის პროცესი კომიტეტის ვიზიტი ქვეყანაში მონიტორინგის ციკლის მნიშვნელოვანი ეტაპია. ამ დროს წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ ადგილობრივ დონეზე გამოიკვლიონ უმცირესობათა მდგომარეობა (რეგიონების ჩათვლით).

3. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია.

4. დიალოგი მონიტორინგის შემდგომ შედეგებზე.

სამოქალაქო სექტორის როლი

არასამთავრობო ორგანიზაციების როლი პროცესში საკმაოდ მნიშვნელოვანია. მონიტორინგის პროცესში მათი ჩართულობა ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია. კომიტეტი ავალდებულებს მრჩეველთა საბჭოს უზრუნველყოს არასამთავრობო ორგანიზაციების პროცესში ჩართვა, მათგან ინფორმაციის მიღება და ა.შ.[23]

არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად აგზავნიან ანგარიშებს, სახელმწიფო ანგარიშის პარალელურად, რაც ხელს უწყობს მონიტორინგის პროცესის ეფექტურად წარმართვას. მიწოდებული ინფორმაცია უადვილებს კომიტეტს უკეთ გამოიკვლიოს ქვეყნის შიგნით უმცირესობათა უფლებების მდგომარეობა და შეავსოს სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ მონიტორინგის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ჩაერთონ; მაგალითად:

23. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/2_Monitoring/PDF_Resolution%2897%2910_en.pdf.

სახელმწიფოს ანგარიშზე მუშაობა, ვადა ანგარიშის წარსადგენად.	• ჩაერთონ დიალოგის პროცესში აზრის დასაფიქსირებლად, ასევე მოუწოდონ სახელმწიფოს ჩართონ უმცირესობები ამ პროცესში.
მრჩეველთა კომიტეტის მიერ სახელმწიფო ანგარიშის მიღება. კომიტეტი აგროვებს დამატებითი ინფორმაციას აღნიშნულ თემატიკაზე, აგზავნის დელეგაციას შესაბამის სახელმწიფოში ვიზიტის განსახორციელებლად. უმეტეს შემთხვევაში მსგავსი დელეგაცია სტუმრობს დედაქალაქს, მაგრამ ასევე ხშირია რეგიონებში ვიზიტების ორგანიზებაც. ამ ვიზიტების დროს ხდება უმცირესობათა წარმომადგენლებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გამგეობებთან შეხვედრა.	• მრჩეველთა კომიტეტი იწვევს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ უმცირესობათა თემებზე, ამიტომ მნიშვნელოვანია სადისკუსიო პროცესში ჩართულობა (ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაციის მოძიება); • შეხვედრების დროს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემური ასპექტების გამოყოფა ზეპირი ფორმით.
მრჩეველთა კომიტეტის დოკუმენტი მრჩეველთა კომიტეტი ადგენს დოკუმენტს, სადაც აფიქსირებს თავის მოსაზრებებს (ვიზიტიდან 2-5 თვის განმავლობაში).	• ალტერნატიული ანგარიშის გაგზავნა.

მრჩეველთა კომიტეტის მიერ სახელმწიფოს მიმართ მოსაზრებების წარდგენა მოსაზრებები ეგზავნება სახელმწიფო წარმომადგენლებს. 4 თვის მანძილზე შეუძლია სახელმწიფოს წარადგინოს მრჩეველთა კომიტეტის მოსაზრებებზე საკუთარი პოზიცია კომენტარების საშუალებით.	• მოუწოდონ სახელმწიფოს კომიტეტის მიერ წარდგენილი მოსაზრებების საჯარო გავრცელება და თარგმნა.
მინისტრთა კომიტეტის მიერ კომენტარების მიღება მინისტრთა კომიტეტი 4 თვის მანძილზე ღებულობს სახელმწიფოს მიერ წარდგენილ კომენტარებს, რომლის შემდეგაც მიიღება სახელმწიფოსთან მიმართებით რეზოლუცია. რეზოლუცია მოიცავს ქვეყნის მიმართ მიღებულ რეკომენდაციებს მოიცავს.	• მიღებული დოკუმენტის საჯარო გავრცელების შემდეგ, საკუთარი მოსაზრებების წარდგენა სახელმწიფოსა და უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. • რეკომენდაციების იმპლემენტაციის პროცესისთვის თვალყურის დევნება.
მრჩეველთა კომიტეტის მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულების პროცესში	• მონაწილეობა მიიღონ განხილვაში და საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ იმპლემენტაციის პროცესთან დაკავშირებით.
შემდგომი სახელმწიფო ანგარიშისთვის მზადება	• რეკომენდაციების გათვალისწინების დონის შესწავლა; • მნიშვნელოვანი სიახლეების კომიტეტისათვის მიწოდება.

კომიტეტთან დაკავშირება შემდეგ მისამართზეა შესაძლებელი:

Secretariat of the FCNM
F – 67075 Strasbourg Cedex
Fax: +33 (0)3 90 21 49 18
Tel: +33 (0)3 90 21 44 33
General mailbox: minorities.fcnm@coe.int

სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ანგარიშების ნახვა შესაძლებელია შემდეგ ლინკზე:

http://www.coe.int/t/dghl/monitoring/minorities/3_FCNMdocs/Table_en.asp#Georgia

რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია (ECRI)

1993 წლის ოქტომბერში ვენის სამიტზე ევროპის საბჭომ მიიღო რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და შეუწყნარებლობის სამოქმედო გეგმა. ამავე სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება შექმნილიყო კომისია. მოგვიანებით 1997 წელს სტრასბურგში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიანიჭა კომისიას ავტონომიური სტატუსი, რის საფუძველზეც გააძლიერა მისი, როგორც ადამიანის უფლებათა მონიტორინგის განმახორციელებელი დამოუკიდებელი ორგანოს როლი. კომისიის პირველი შეკრება 1994 წლის მარტში ჩატარდა და მას შემდეგ კომისია აქტიურად მუშაობს ამ საკითხების გარშემო არსებულ პრობლემათა აღმოსაფხვრელად.

კომისიის ძირითადი მიზნები

- მიმოიხილოს წევრ ქვეყნებში არსებული სიტუაცია/მონიტორინგი;
- მოახდინოს ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად;
- ჩამოაყალიბოს ზოგადი სახის რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოებისათვის.

სამუშაოს ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა „მიდგომა ქვეყნების მიხედვით," რომლის მეშვეობითაც კომისია იკვლევს წევრ ქვეყანაში რა-

სიზმისა და შეუწყნარებლობის პრობლემატიკას და წარმოადგენს რეკომენდაციებს პრობლემის გადაჭრის მიზნით.

<u>კომისიის წევრები</u> პირები, რომელთაც აქვთ მაღალი მორალური სტანდარტები და ექსპერტიზა რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და შეუწყნარებლობის საკითხებში. თითოეული წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია დანიშნოს ერთი წევრი კომისიაში (5 წლის ვადით). ამისათვის სავალდებულოა სახელმწიფომ დააკმაყოფილოს მოთხოვნები წარმოდგენილი პირის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

კომისიის სამუშაო პრინციპები

- წევრები უნდა იყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები თავიანთი მანდატის ფარგლებში;
- ყველა წევრი სახელმწიფო უნდა შემოწმდეს თანაბრად;
- მუშაობის ფარგლებში კომისია თანამშრომლობს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან.

რას მოიცავს კომიტეტის მუშაობა?

- ***სახელმწიფოების მონიტორინგი*** გულისხმობს სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშის განხილვას,[24] რეკომენდაციების იმპლემენტაციას ეროვნულ დონეზე, განსაზღვრული პოლიტიკის შეფასებას იურიდიული და ინსტიტუციური კუთხით, დისკრიმინაციის დონის შეფასებას, რასისტული ძალადობის გამოვლინებების კვლევას, მოწყვლადი ჯგუფების განსაზღვრას;
- ***ზოგად თემებზე მუშაობა*** ზოგადი სახის რეკომენდაციების შემუშავება ყველა წევრი სახელმწიფოსთვის (ამჟამად 12 ზოგადი სახის რეკომენდაცია არის შემუშავებული);[25]

24. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/countrybycountry_en.asp.
25. http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/GeneralThemes_en.asp.

- ***ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან*** - ინფორმაციული და საკომუნიკაციო აქტივობების განსაზღვრა, მრგვალი მაგიდის ტიპის შეხვედრების ორგანიზება, სემინარების ჩატარება კომიტეტის სამუშაო თემასთან დაკავშირებით, თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სახელმწიფოს მონიტორინგის პროცესში გამოყენებული დოკუმენტები

- ევროპის საბჭოს (ან სხვა მსგავსი ორგანიზაციების)
  მიერ მომზადებული ანგარიში;
- სახელმწიფოს ანგარიში;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიში;
- კომისიის დელეგაციის მიერ, ქვეყანაში ვიზიტისას, შეგროვებული ინფორმაცია (პრესა, კვლევა, შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაცია და ა.შ.).

მონიტორინგის პროცესი:

1. კომიტეტის შეხვედრა სახელმწიფოს წარმომადგენლობას და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა მათ გააკეთონ კომენტარი წინა ციკლის შემდგომ მოვლენებზე;
2. კომიტეტის სამუშაო ჯგუფი ამოწმებს ინფორმაციას და ამზადებს მონიტორინგის შეხვედრას;
3. სამუშაო ჯგუფიდან 2 მომხსენებელი გეგმავს სამონიტორინგო ვიზიტს, რომლის განმავლობაშიც ხვდება სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს;
4. კომიტეტი ადგენს პირველად ანგარიშს;
5. პირველადი ანგარიში ეგზავნება სახელმწიფოს;
6. პირველადი ანგარიშის მიმოხილვა, სახელმწიფოს კომენტარები;
7. სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია ზეპირად წარმოადგინოს შენიშვნები კომიტეტის და მომხსენებლების მიმართ;
8. კომიტეტი იღებს საბოლოო ანგარიშს;
9. სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენლებს შეუძ-

ლიათ საკუთარი ინდივიდუალური მოსაზრებები ჩაწერონ ანგარიშის დანართში;

10. კომიტეტის მიერ ანგარიშის სახელმწიფოსთვის გადაგზავნა მინისტრთა კომიტეტის გავლით;

11. ანგარიშის გამოქვეყნება.

ანგარიშის ბოლო ვარიანტის მიღებამდე კომისია მართავს კონფიდენციალურ დიალოგს იმ ქვეყანასთან, რომელიც წარადგენს ანგარიშს. მეორე ეტაპია უკვე არსებული ანგარიშის განხორციელების შემოწმება, რომლის დროსაც (მეორე ანგარიშის წარდგენამდე) კომისიის მომხსენებელთა ვიზიტის ორგანიზება ხდება.

საქართველოში საკონტაქტო ვიზიტი 2001 წლის 19 – 22 მარტს გაიმართა და მომხსენებლები სამინისტროებისა და იმ მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლებს შეხვდნენ, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ კომისიის მანდატით გათვალისწინებულ საკითხებზე.

ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან

საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ევროსაბჭო ცდილობს, რომ მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევების პრევენცია, ასევე მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების მონიტორინგი. მრავალ წევრ სახელმწიფოში იგეგმება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, თვითშეგნების ასამაღლებელი შეხვედრები და ტრენინგები.

ეროვნულ დონეზე ყველაზე გამართლებული საშუალებაა მრგვალი მაგიდის ორგანიზება, რომლის მთავარი მიზანია მოიძებნოს პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზა და მოხდეს მიღებული რეკომენდაციების სწორი იმპლემენტაცია.

ევროპულ დონეზე კომიტეტი ორგანიზებას უკეთებს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრას ექსპერტებთან კონკრეტულ თემებზე.

არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ კომიტეტის მნიშვნელოვან პარტნიორებს, რომელთან თანამშრომლობასაც კომიტეტი აქტიურად განაგრძობს, ძირითადად ინფორმაციის ორმხრივი გაცვლის და კონსულტაციების გავლის კუთხით.

ევროპის საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია

რას მოიცავს კონვენცია?

კონვენცია მოიცავს ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმას (იქნება ეს ნაციონალური, ტრანსნაციონალური, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული) და ვრცელდება ტრეფიკინგის ყველა მსხვერპლზე (ქალებზე, მამაკაცებსა და ბავშვებზე). კონვენცია აგრეთვე მოიცავს ექსპლუატაციის ყველა ფორმას. გარდა ამისა, კონვენციაში წარმოდგენილია ის ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოებასთან პარტნიორობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას.

მონიტორინგის მექანიზმები

კონვენციის საფუძველზე შექმნილია მონიტორინგის დამოუკიდებელი მექანიზმი, რათა შეფასდეს, თუ რამდენად კარგად სრულდება კონვენციის დებულებები პრაქტიკაში. ეს მონიტორინგის მექანიზმი, რომელიც კონვენციის ერთ-ერთ უმთავრეს ძლიერ მხარედ ითვლება, ორ ძირითად ღერძს ეფუძნება. ესენია: ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი - GRETA და მონაწილე მხარეთა კომიტეტი.

ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში GRETA) პასუხისმგებელია, რომ შეაფასოს ასრულებენ თუ არა კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყნები (ის ქვეყნები, რომლებმაც კონვენციის რატიფიცირება მოახდინეს) კონვენციის მოთხოვნებს. GRETA შედგება 15 დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ექსპერტისაგან, რომლებიც კონვენციის ხელმომწერ ქვეყნებს წარმოადგენენ. ექსპერტები სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან (იურისტები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ფსიქოლოგები, ექიმები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და ა.შ.) და მათი შერჩევა ხდება კონვენციით გათვალისწინებულ სფეროებში მათი პროფესიული გამოცდილების მიხედვით. ქსპერტთა ჯგუფის წევრი ინიშნება 4 წლის ვადით და შეიძლება ჯგუფში მუშაობა კიდევ დამატებითი 4 წლით გააგრძელოს.

როგორ ხორციელდება მონიტორინგი?

- GRETA-ს მონიტორინგი რაუნდებად არის დაყოფილი. თითოეული რაუნდის დასაწყისში GRETA არჩევს კონვენციის იმ დებულებებს, რომელთა შესრულებაზეც უნდა განხორციელდეს მონიტორინგი და განსაზღვრავს შეფასების გაკეთების ყველაზე უფრო ეფექტურ გზას;
- GRETA მონიტორინგის სამუშაოს შესრულებისას ინფორმაციის შეგროვების სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. პირველ რიგში, GRETA კითხვარებს უგზავნის იმ ქვეყნის ხელისფულების ორგანოებს, რომლის შეფასებაც ხდება, შემდეგ GRETA აანალიზებს ამ კითხვარზე პასუხად მიღებულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს დამატებით ინფორმაციას, რათა ცხადი და ამომწურავი პასუხი მიიღოს კონკრეტულ შეკითხვებზე;
- გარდა კითხვარის გაგზავნისა, GRETA ახორციელებს ვიზიტს შესაფასებელ ქვეყანაში. ამგვარი ვიზიტების განმავლობაში შესაძლებელი ხდება სხვადასხვა საკითხების სიღრმისეული განხილვა მთავრობის წარმომადგენლებთან, სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან, პარლამენტის წევრებთან და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად;
- გარდა ამისა, შეფასებითი ვიზიტები GRETA-ს აძლევს შესაძლებლობას ეწვიოს იმ ობიექტებს, სადაც ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა. ამგვარად, GRETA-მ შეიძლება მოითხოვოს კრიზისის იმ ცენტრებში, ან მსხვერპლთა თავშესაფრებში სტუმრობა, ან არარეგულარულ მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა იმ ცენტრებში, სასაზღვრო-გამშვებ-პუნქტებში, ან ჰოსპიტალებში სტუმრობა, რომელთაც სახელმწიფო ორგანოები, ან არასამთავრობო ორგანიზაციები მართავენ. ეს ვიზიტები შესაძლებლობას იძლევა შემოწმდეს იმ ღონისძიებათა ეფექტურობა, რომლებიც კონვენციის განხორციელების მიზნით ხორციელდება;
- სამოქალაქო საზოგადოება GRETA-სთვის ინფორმაციის მიმწოდებელ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შეფასებითი ვიზიტების განმავლობაში GRETA შეხვედრებს მართავს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან (მაგალითად, პროფკავშირებთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, სამეცნიერო წრეებთან), ანუ იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც

მონაწილეობენ ადამიანებით ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებაში. GRETA-მ შეიძლება გადაწყვიტოს, რომ თავისი კითხვარი ან ნებისმიერი სხვა მოთხოვნა გაუგზავნოს არასამთავრობო ორგანიზაციებს, ან სამოქალაქო საზოგადოების იმ სხვა წევრებს, რომელთაც ხელი მიუწვდებათ ინფორმაციის სანდო წყაროზე და რომელთაც უნარი შესწევთ ეს ინფორმაცია სათანადოდ გადაამოწმონ.

„ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის კონვენცია“

რას მოიცავს კონვენცია?

2011 წლის 7 აპრილს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, რომელსაც 2011 წლის 11 მაისს სტამბოლში მოეწერა ხელი და ხშირად „სტამბოლის კონვენციის“ სახელით მოიხსენიებენ. კონვენციის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციის შემცირებას და უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორობა და ქალთა გაძლიერება. კონვენციის მიხედვით, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვანია ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დე იურე და დე ფაქტო აღიარება.

კონვენცია მოიცავს ოჯახში ძალადობის განსაზღვრებაც. ევროპის კონვენციის მიხედვით, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკურ, სექსუალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობას, რომელიც ხდება ოჯახში, ან ოჯახურ ერთეულში ყოფილ, ან ამჟამინდელ წყვილს, ან პარტნიორებს შორის, იმის მიუხედავად, ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად. გამოიყო ძალადობის სხვადასხვა სახეები: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, იძულება, ეკონომიკური და სექსობრივი. გარდა ამისა, ევროსაბჭოს კონვენცია აქცენტს აკეთებს სამ ძირითად საკითხზე: ძალადობის პრევენცია - ცნობიერების ამაღლების, განათლების, პროფესიონალების გადამზადების გზით; ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა - ინფორმირებულობითა და სერვისების მიწოდებით; მოძალადეების წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყება - კანონის ამოქმედებით; ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობასა და მონიტორინგის მექანიზმის შემუშავებით. ამჟამად, საქართველოს მთავრობა მუშაობს კონვენციის რატიფიცირებაზე; კერძოდ, ხდება საქართველოს კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მონიტორინგის მექანიზმები

იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ასრულებენ ხელმომწერი ქვეყნები კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, სტამბოლის კონვენცია მონიტორინგის მექანიზმებს ითვალისწინებს. მონიტორინგის სისტემა ორ ძირითად მექანიზმს მოიცავს: ექსპერტთა ჯგუფი ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების საკითხებში (GREVIO), რომელიც ექსპერტთა დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს და პარტიათა კომიტეტი - პოლიტიკური ორგანო, რომელიც პარტიათა ოფიციალური წარმომადგენლებისგან შედგება.

GREVIO დაკომპლექტებულია 10 დამოუკიდებელი ექსპერტით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და ცოდნა გენდერულ და ოჯახში ძალადობის საკითხებში, ან ზოგადად ადამიანის უფლებების სფეროში. ისინი პარტიათა კომიტეტის მიერ აირჩევიან. მათი რაოდენობა გაიზრდება 15-მდე მას შემდეგ, რაც კონვენცია რატიფიცირებული იქნება 25 სახელმწიფოს მიერ.

მონიტორინგი ეფუძნება როგორც სახელმწიფოს მიერ GREVIO-ს კითხვარის საფუძველზე მიწოდებულ ანგარიშს, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტების მიერ გაგზავნილ ინფორმაციას. GREVIO-მ ასევე შეიძლება განახორციელოს ვიზიტები სახელმწიფოში, თუ ინფორმაცია არასრულია, ან ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიან დარღვევას ასახავს. მოგროვებული ინფორმაციის საფუძველზე GREVIO ამზადებს ანგარიშს და კომენტარებისთვის უგზავნის შესაფასებელ ქვეყანას. საბოლოო ანგარიში სახელმწიფოს სთავაზობს იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებს. GREVIO-ს ანგარიშის საფუძველზე პარტიათა კომიტეტმა შეიძლება გამოსცეს რეკომენდაციები მხარის მიმართ და მოითხოვოს მათი აღსრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება.

გარდა ამისა, GREVIO-ს შეუძლია გამოსცეს ზოგადი რეკომენდაციები კონვენციის მუხლებსა და ძირითად საკითხებზე, რაც წარმოადგენს სახელმძღვანელოს მხარე სახელმწიფოებისათვის.

დანართი № 1

ვიზიტი საქართველოში[26]

სამუშაო თემატიკა	მანდატი	წელი
იძულებით გადაადგი-ლებული პირები		17/05/2000 15/03/2005 21-24/12/2005 1-4/10/2008 10-14/06/2013
რელიგიის თავისუფლება	სპეციალურ მომხსენებელს მინიჭებული მანდატის (საბჭოს 6/37 რეზოლუცია) ფარგლებში ევალება: - ხელი შეუწყოს ნაციონალურ დონეზე ადამიანის რელიგიური თავისუფლების დაცვას - გამოააშკარავოს პრობლემური ასპექტები და შეიმუშავოს რეკომენდაცია მათ აღმოსაფხვრელად	7/09/2003
წამება		19-25/02/2005

26. http://www.ohchr.org/EN/HRBodies/SP/Pages/CountryvisitsF-M.aspx

თვითნებური დაკავება	- შეისწავლის გაუსამართლებლად დაკავების, თვითნებური მსჯავრის დადების შემთხვევების ყველა გარემოებას და წარმოადგენს ანგარიშსყოველწლიურად ადამიანის უფლებათა საბჭოსა და გენერალური ასამბლეის წინაშე იმ მიზნით რომ უფრო არ გაუმჯობესდეს არსებული სიტუაცია. - თვალყური ადევნოს რეკომენდაციების შესრულებას	15-24/06/2011
გამოხატვის თავისუფლება	- შეაგროვოს ინფორმაცია ადამიანის აზრისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევის ფაქტების შესახებ. -ხელს უწყობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების განვითარებას და შესაბამისად მუქარის, ძალადობის ფაქტების აღმოფხვრას - იღებს რეკომენდაციებს, რათა უკეთ მოხდეს გამოხატვის თავისუფლების დაცვა. - დახმარების მიზნით გასწევს ტექნიკურ, ან საჭიროების შემთხვევაში საკონსულტაციო მომსახურებას	6-14/02/2012

დანართი № 2

ადამიანის უფლებათა საბჭოს გასაჩივრების პროცედურის ფორმა

- დოკუმენტი უნდა იყოს წერილობითი ფორმის, გაეროს ექვსი ოფიციალური ენიდან ერთ-ერთის გამოყენებით (არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური);
- ანონიმური დოკუმენტი არ მიიღება;
- დოკუმენტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს რვა გვერდს;
- დაუშვებელია შეურაცხმყოფელი ენის გამოყენება.

I. ინფორმაცია დოკუმენტის ავტორ (ებ) ის სავარაუდო მსხვერპლ (ებ) ის შესახებ

ინდივიდუალური... ჯგუფური... არასამთავრობო... ორგანიზაცია... სხვა...

გვარი: .....

სახელ(ებ)ი: .....

მოქალაქეობა: .....

დოკუმენტის ავტორის მისამართი: .....

ტელეფონი/ფაქსი: (გთხოვთ მიუთითოთ ქვეყნის ან რეგიონის კოდი) .....

ელ. ფოსტა: .....

ვებგვერდი: .....

დოკუმენტის წარმდგენი:

ავტორის მიერ, საკუთარი სახელით:

სხვა პირის სახელით: (გთხოვთ დააკონკრეტოთ: .....)

II. სახელმწიფოს შესახებ ინფორმაცია

ქვეყნის და იმ პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელ(ებ)ი, ვინც პასუხს აგებს ჩადენილ დარღვევაზე: .....

III. ფაქტები და სავარაუდო დარღვევათა ბუნება

გასაჩივრების პროცედურა მოიცავს საქმის შემადგენელ ნაწილებსა და დადასტურებულ დარღვევებს, ადამიანის უფლებათა საკითხებთან მიმართებით, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ადამიანის უფლებათა ნებისმიერი დარღვევისას.

გთხოვთ, დეტალურად მიუთითოთ ფაქტები, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: თარიღების, ადგილმდებარეობის და დამრღვევის მითითებით.

.....

IV. სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე

1. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოსაწურად გადადგმული ნაბიჯების შესახებ და რა შედეგი იქნა ამით მიღწეული:

.....

2. თუ არ მომხდარა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ეროვნულ დონეზე ამოწურვა იმ მიზეზით, რომ მოხდებოდა დაუსაბუთებლად გადადება, ან არ იქნებოდა ეფექტური, გთხოვთ, დეტალურად ახსნათ ამის მიზეზი:

.....

V. წარდგენა და კომუნიკაცია ადამიანის უფლებათა სხვა ორგანოებთან

1. წარადგინეთ თუ არა საჩივარი იგივე საკითხზე, სპეციალურ პროცედურებში, ან სახელმშეკრულებო ორგანოში, გაეროში, ან რეგიონალურ დონეზე?

.....

2. მსგავსი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ სად და როდის შეიტანეთ საჩივარი, რა არის საჩივრის ამჟამინდელი სტატუსი (სანამ ამ ორგანოს მიმართავდით):

.....

VI. მოთხოვნა კონფიდენციალურობის შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტი აკმაყოფილებს დასაშვებობის კრიტერიუმებს, როგორც ეს მითითებულია ევროსაბჭოს 5/1 რეზოლუციაში, გაითვალისწინეთ, რომ ეს უკანასკნელი გადაეცემა სახელმწიფოს, რათა მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან პოზიციის დაფიქსირება ჩადენილ დარღვევასთან დაკავშირებით.

წარდგენილ დოკუმენტში არსებული რაიმე ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის სურვილის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ.

კონფიდენციალურობის მოთხოვნა (გთხოვთ აირჩიოთ შესაბამისი გრაფა):

დიახ... არა...

გთხოვთ, მიუთითოთ რომელი ინფორმაცია გსურთ დარჩეს კონფიდენციალური.

თარიღი: ..... ხელმოწერა: .....

შენიშვნა: ფორმის სხვადასხვა სექციის შემდგომ ცარიელ ადგილას მიუთითეთ შესაბამისი ინფორმაცია. ამისათვის გამოიყენეთ იმდენი ადგილი, რამდენიც გჭირდებათ თქვენი პასუხის დასაფიქსირებლად. საჩივარი არ უნდა აღემატებოდეს რვა გვერდს.

VII. წარსადგენი დოკუმენტების სია

გთხოვთ, წარმოადგინოთ დოკუმენტების ასლი (არა ორიგინალი) გაეროს ექვსი ოფიციალური ენიდან ერთ-ერთის გამოყენებით (გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაგზავნილი დოკუმენტები უკან არ ბრუნდება).

- ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება (ასევე სასარგებლოა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ასლი):

- მეხუთე სექციაში მითითებული პროცედურის შესახებ ინფორმაცია (ასევე ინფორმაცია სხვა გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ამ საქმესთან დაკავშირებით):

- ნებისმიერი სხვა მტკიცებულება.

VIII. სად ვაგზავნით?

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი

ადამიანის უფლებათა საბჭოს გასაჩივრების პროცედურების განყოფილება

გაეროს ოფისი ჟენევაში
CH-1211 ჟენევა 10, შვეიცარია
ფაქსი: (+41 22) 917 90 11
ელ.ფოსტა: CP@ohchr.org

ვებ გვერდი:
http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/Pages/HRCIndex.aspx

დანართი № 3

კომიტეტში წარსადგენი ინდივიდუალური საჩივრის ფორმა

რომელ სახელშეკრულებო ორგანოს მიმართავთ: .....

თარიღი: .....

I. საჩივრის ინფორმაცია:

სახელი: ..... მოქალაქეობა: .....

სარჩელი შემოდის: ავტორის სახელით: ..... სხვა ადამიანის სახელით: .....

სახელი: .....

[თუ საჩივარი შემოდის სხვა ადამიანის სახელით:] გთხოვთ, მიუთითეთ ამ ადამიანის მონაცემები

სახელი: ..... მოქალაქება: ..... ფაქტობრივი მისამართი:

დაბადების თარიღი: .....

თუ თქვენ მოქმედებთ ამ ადამიანის თანხმობით, გთხოვთ, წარმოადგინოთ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ ასეთი დოკუმენტი არ გაგაჩნიათ გთხოვთ, ახსნათ თქვენი ურთიერთობა ამ ადამიანთან: ..... რატომ მიიჩნიეთ საჭიროდ მისი სახელით საჩივრის შემოტანა: .....

II. დამრღვევი სახელმწიფო/დარღვეული მუხლები

სახელმწიფოს სახელი, რომელიც არის ფაკულტატური ოქმის წევრი, ან აღიარებული აქვს გასაჩივრების მექანიზმების შემცველი მუხლები: .....

საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვეული მუხლები: .....

III. ეროვნული სამართლებრივი მექანიზმების ამოწურვა/სხვა საერთაშორისო პროცედურებისთვის მიმართვა

ეროვნულ დონეზე გადადგმული ნაბიჯები, რომელიც დარღვევის აღმოფხვრას ემსახურებოდა. აღწერეთ რა პროცედურებს მიმართეთ, მათ შორის, სასამართლოსთვის და სხვა საჯარო ორგანოებისთვის მიმართვა;

რა მოთხოვნები წამოაყენეთ, რა დროს, და რა შედეგი მიიღეთ: .....

თუ არ ამოგიწურავთ ეს საშუალებები იმის საფუძველზე, რომ მათი პროცედურები არაგონივრულად ხანგრძლივი იქნება, ან ისინი იქნება არაეფექტური, ან არსებობს რაიმე სხვა მიზეზი გთხოვთ, აღწეროთ ისინი დეტალურად: .....

დაბადების ადგილი და თარიღი:

.....

ხომ არ მიგიმართავთ დავათა გადაწყვეტის ან გამოძიების რომელიმე სხვა საერთაშორისო მექანიზმისთვის (მაგ. ადამიანის უფლებათა შიდა ამერიკული კომისია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანისა და ხალხის უფლებების აფრიკული კომისია)? .....

ამ შემთხვევაში აღწერეთ რა მექანიზმებს მიმართეთ, რა მოთხოვნები წამოაყენეთ, რა დროს, რა შედეგი მიიღეთ: .....

IV. საჩივრის ფაქტობრივი ინფორმაცია

ქრონოლოგიურად, დეტალურად აღწერეთ გასაჩივრებულ დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტები. ახსენეთ ყველა საკითხი, რომელსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ამ საქმის გადაწყვეტისას. გთხოვთ, ახსენით როგორ არღვევს ეს ფაქტები, ან გარემოებები თქვენს უფლებებს. ....

ავტორის ხელმოწერა: .....

V. თანდართული დოკუმენტაციის ნუსხა (ასლები, არა ორიგინალები, რომელიც თან ერთვის თქვენს სარჩელს):

- უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი წერილობითი (თუ საჩივარი შეგაქვთ სხვა პირის სახელით და სხვაგვარად ვერ ამართლებთ დოკუმენტის არქონას): .....

ეროვნული სასამართლოების და ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების ამსახველი დოკუმენტები (ეროვნული კანონმდებლობის რელევანტური ნაწილი ასევე სასურველია): .....

- დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს თქვენ მიერ IV ნაწილში აღწერილ ფაქტებს:.....

თუ ეს დოკუმენტაცია არ ერთვის თან საჩივარს და კომიტეტმა უნდა მოიპოვოს ის, ან დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი სამდივნოს სამუშაო ენაზე, თქვენი საჩივრის განხილვა შეიძლება გადაიდოს.

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE